„ჟ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, ველური ხილის სახეობის მერქნიანი მცენარეების მყნობისა, სოციალური ჭრების

შედეგად მიღებული საშეშე მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 5 მ$^3$, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებებში 7 მ$^3$ საშეშე მერქნისა), ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობში), თიბვისა, საფუტკრეების მოწყობისა, სოკოსა და ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა, ამავე დადგენილების 27[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27[3] მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;“.

**6. „ტექნიკური რეგლამენტის – ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ (დანართი 6) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ო) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, ველური ხილის სახეობის მერქნიანი მცენარეების მყნობისა, ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობში), თიბვისა, საფუტკრეების მოწყობისა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 300 ძირს, სოკოსა და ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27[3] მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;“.

**7. „ტექნიკური რეგლამენტის – გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ (დანართი 7) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჟ) გარდაბნის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 5 მ$^3$ საშეშე მერქანი), ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვისა და საკვებური მოედნების მოწყობისა, თიბვისა, საფუტკრეების მოწყობისა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ძირს, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27[3] მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.“.

**8. „ტექნიკური რეგლამენტის – კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ (დანართი 8) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ო) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირადი მოხმარების მიზნით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების

შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 5 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 აგვისტოს №423 დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გაიცემა 7 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა/თიბვისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა, თევზჭერისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.".

**9. „ტექნიკური რეგლამენტის – ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის" (დანართი 11) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჟ) ჭაჭუნის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვა და საკვებური მოედნების მოწყობა, თიბვა, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვება, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.".

**10. „ტექნიკური რეგლამენტის – ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის" (დანართი 12) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჟ) ყორუღის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 5 $მ^3$ საშეშე მერქანი), ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვა და საკვებური მოედნის მოწყობა, თიბვა, საფუტკრეების მოწყობა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ძირს, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვება, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;".

**11. „ტექნიკური რეგლამენტის – ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის " (დანართი 13) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჟ) ივრის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის

გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არა უმეტეს 5 $მ^3$ საშეშე მერქანი), ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვა და საკვებური მოედნის მოწყობა, თიბვა, საფუტკრეების მოწყობა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ძირს, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვება, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;".

**12. „ტექნიკური რეგლამენტის – ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის" (დანართი 15) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, საპატრულო ცხენების ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;".

**13. „ტექნიკური რეგლამენტის – მაჭახელას ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის" (დანართი 16) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირადი მოხმარების მიზნით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა, ამავე დადგენილების $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „დ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;".

**14. „ტექნიკური რეგლამენტის – ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის" (დანართი 18) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ტ) „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული

სხვა საქმიანობისა;“.

**15. „ტექნიკური რეგლამენტის – ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ (დანართი 19):**

**ა) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 15 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა, თიბვისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;“;

**ბ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 15 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა, თიბვისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და $27^1$ მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;“.

**16. დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტექნიკური რეგლამენტი – თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი (დანართი 20):**

„(დანართი 20)

ტექნიკური რეგლამენტი

თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე და წარმოადგენს თეთრობის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობის განმსაზღვრელ და სამენეჯმენტო ქმედებებით დაგეგმილ დროებით სახელმძღვანელო დოკუმენტს.

მუხლი 2. თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის რეგულირების

სფერო

თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს თეთრობის აღკვეთილის არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, აღდგენისა და გამოყენების საკითხებს.

**მუხლი 3. თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

1. თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნებია:

ა) თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების შეზღუდული გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება;

ბ) თეთრობის აღკვეთილში ეკოტურიზმის, ეკოლოგიური განათლების, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, სამეცნიერო საქმიანობის და რეკრეაციის სფეროში შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა;

გ) ჯავახეთის ზეგანზე წარმოდგენილი ფიჭვის ბუნებრივი ტყეებისა და კირქვებზე არსებული რელიქტური და ლოკალური ენდემებით წარმოდგენილი ეკოსისტემების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა;

დ) თეთრობ-ჭობარეთის ქედზე დოლერიტული ლავებისგან, მესამეულის, მერგელებისა და ზედა ცარცული გეოლოგიური ასაკის კირქვებისგან შექმნილი, იშვიათი გეომორფოლოგიური აგებულების ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინააზიური და ანატოლიის უძველესი (რელიქტური) ფლორის დაჯგუფებებით წარმოდგენილი უნიკალური ლანდშაფტების დაცვა და შენარჩუნება.

2. თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად აღკვეთილის ტერიტორიის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი და სახეშეცვლილი ლანდშაფტების დაცვას და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოს თეთრობის აღკვეთილის ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა, მოვლა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ გარემოში რეკრეაციის და ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

დ) თეთრობის აღკვეთილის ფარგლებში, უზრუნველყოს მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და აღკვეთილის მიზნების გათვალისწინებით ამ რესურსებით შეზღუდული სარგებლობა;

ე) განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ვ) უზრუნველყოს თეთრობის აღკვეთილის ძირითადი მიზნით განსაზღვრული ფიჭვის ტყის ეკოსისტემის დაცვა, მოვლა, აღდგენა და შეზღუდული სარგებლობა.

**მუხლი 4. თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიის მდებარეობა და საერთო ფართობი**

თეთრობის აღკვეთილი მოიცავს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით - 3100 ჰა.

**მუხლი 5. თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია**

გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობის და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიაზე ზონები არ გამოიყოფა.

**მუხლი 6. თეთრობის აღკვეთილის საზღვრებში დაშვებული საქმიანობები და რესურსებით სარგებლობა**

თეთრობის აღკვეთილში, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა, მათ შორის, არქეოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ძეგლების კვლევისა. მონიტორინგის მიზნით, მუდმივი და დროებითი სანიმუშო ფართობების მოწყობისა და ფოტოხაფანგების განთავსებისა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) აღდგენითი ღონისძიებებისა;

ე) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით, ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ვ) მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრისა და ხანძრებისგან დაცვის მიზნით, ტყეების ჩახერგილობისგან გაწმენდისა, აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ზ) ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამ წესით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს, სამძებრო-სამაშველო სამუშაოების განხორციელების დროს და სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს;

თ) დაცვის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;

ი) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

კ) ტყის ეკოსისტემების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

ლ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით, შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;

მ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;

ნ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობისა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით, ვოლიერების მოწყობისა;

ო) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ტერიტორიაზე ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;

პ) მონიტორინგისა და საკადასტრო სამუშაოთა წარმოებისა;

ჟ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

რ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

ს) აღკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე, გზების და ბილიკების მოვლისა და მოწყობისა;

ტ) თეთრობის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 7 $მ^3$-მდე საშეშე მერქანი, სოციალური ჭრის ფარგლებში გამოიყოფა მხოლოდ მოთხრილ-მოტეხილი, ზეხმელი, ფაუტი და ნაყარი ხე-ტყე), ძოვებისა, თიბვისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, $27^3$ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;

უ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვის, აღდგენის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით, ხეების მოჭრისა;

ფ) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მონიტორინგის მიზნით, საკვებურებისა და სამარილეების მოწყობისა;

ქ) მცენარეების აღდგენა-განაშენიანების მიზნით, ბოლქვების, თესლის, გირჩებისა და კალმების შეგროვებისა;

ღ) ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების მიერ სამკურნალო და საკვები მცენარეების პირადი მოხმარებისათვის შეგროვებისა;

ყ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ფუტკრის სკების განთავსებისა, თუ საჭირო არ არის ხე-მცენარეების გაკაფვითი სამუშაოები;

შ) ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების მიერ სამკურნალო და საკვები მცენარეების პირადი მოხმარებისათვის შეგროვებისა;

ჩ) თეთრობის აღკვეთილში დაშვებული, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების $2^1$ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისა;

ც) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის $3^1$ პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 7. ცხოველთა სამყაროს დაცვა თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიაზე**

1. თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს დაცვა ხორციელდება განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად – „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ცხოველთა სამყაროს დაცვის მოთხოვნათა საფუძველზე.

2. თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიაზე აკრძალულია ნადირობა და აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობა.

3. თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიაზე სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელების ფარგლებში, საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების სახეობათა გადარჩენის, გენოფონდის რეზერვატის შექმნა ან ვეტერინარული მიზნით გარეული ცხოველების დაჭერა ხორციელდება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი